



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

28.04.2014

№ 15

სარჩევი

საქართველო.....	3
სს „თელასის“ 2014 წლის პირველი კვარტლის ოპერაციული მაჩვენებლები.....	3
საქართველო-სომხეთს შორის 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი აშენდება.....	4
სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ დაუდასტურა არსებული რეიტინგი.....	5
რეგიონი	6
აზერბაიჯანის ენერგოსისტემის მოცულობის გაზრდის მიზნით აუცილებელია 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია.....	6
ირანი ჰესის ერთობლივი პროექტის დასაწყებად სომხეთის შეფასებას ელოდება.....	7
თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, შესაძლებელია „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენმა თურქეთზე გაიაროს.....	8
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	10
რუსეთი უცხოელ ინვესტორებს ემუქრება	10
ყაზახეთი გაზის ინდუსტრიას ავითარებს	11
Sinopac-ი Lukoil-ის ყაზახური აქტივების 50%-ს ყიდულობს.....	12
ევროპა	14
NordBalt-ისა და LitPol-ის ხაზები ლიტვაში ფასებს შეამცირებს	14
საფრანგეთის ქარის ენერჯია - ენერჯის ახალ წყაროზე გადასვლის გამოსავალი.....	15
პოლონური Tauron-ი 910 მგვტ. სიმძლავრის აგრეგატს ააშენებს.....	16
მსოფლიო.....	17
რუსეთი ჩინეთთან კავშირებს აძლიერებს.....	17
მექსიკა ენერჯო სექტორის გახსნის შემდეგ დაკვირვების ობიექტია	18
ანალიტიკა	19
BP და Shell-ი დაუცველი რჩება, რადგან აშშ რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს ამზადებს	19

სს „თელასის“ 2014 წლის პირველი კვარტლის ოპერაციული მაჩვენებლები

2014 წლის პირველ კვარტალში კომპანია „თელასმა“ 609.69 მილიონი კვტ.სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 7.1%-ით (40.54 მილიონი კვტ.სთ-ით) აღემატება 2013 წლის პირველი კვარტლის მოხმარების მოცულობას (569.15 მილიონი კვტ.სთ). ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობის მატება ეკონომიკის და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია.

2014 წლის იანვარ-მარტში 2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 9.2%-ით (49 მილიონი კვტ.სთ-ით) გაიზარდა მომხმარებელზე დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობა და 580.96 მილიონი კვტ.სთ-ი შეადგინა. ამ მაჩვენებლის ზრდა უპირველეს ყოვლისა დანაკარგების მოცულობის შემცირებამ განაპირობა.

2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2014 წლის იანვარ-მარტში ელექტროენერგიის დანაკარგების საერთო მაჩვენებელი 1.8%-ით (8.5 მილიონი კვტ.სთ-ით) შემცირდა და 4.7% (28.7 მილიონი კვტ.სთ-ი) შეადგინა. ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირება ქსელში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით და ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესებით არის მიღწეული.

ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით 2013 წელს კომპანიაში ელექტროქსელის ეტალონური სქემის დადგენის, ბილინგისა და სადისპეჩერო ფარის მონაცემთა ბაზების სინქრონიზაციის და კომერციული ბლოკების მოწესრიგების პროექტი განხორციელდა. პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ეტალონური სქემის საფუძველზე ჩატარდა სამუშაოები „სადისპეჩერო ფარის“, „ბილინგისა“ და „ძირითადი საშუალებების აღრიცხვის“ მონაცემთა ბაზებში სხვაობის აღმოსაფხვრელად, რაც სიტუაციის რეალურად შეფასებისა და ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობით ელექტროენერგიის დანაკარგების სეგმენტების ზუსტი განსაზღვრის საშუალებას იძლევა.



2014 წლის პირველ კვარტალში კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 4 433 კმ შეადგინა, რაც 6.2%-ით (260 კმ-ით) აღემატება 2013 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს (4 173 კმ). კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე ქსელის განვითარების, აბონენტთა რაოდენობის მატებისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზების სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა.

სს „თელასი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა საქართველოში ელექტროენერჯის დისტრიბუციის დარგში, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას თბილისში. კომპანია ელექტროენერჯიას აწვდის 500 ათასზე მეტ მომხმარებელს. 2003 წლის აგვისტოში სს „თელასი“ „ინტერ რაო“-ს შემადგენლობაში შევიდა. „ინტერ რაო“-ს მფლობელობაშია „თელასის“ აქციათა 75%, ხოლო 25%-მდე სახელმწიფოს საკუთრებაა.¹

საქართველო-სომხეთს შორის 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი აშენდება

2014 წლის 16 აპრილს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სომხეთის ენერჯეტიკული კომპანიების – „სომხეთის ენერჯოსისტემის ოპერატორისა“ და



„მაღალი ძაბვის ელექტრო ქსელების“ ხელმძღვანელების მიერ ხელი მოეწერა ახალი სისტემათაშორისი გადამცემი ხაზის მშენებლობის დოკუმენტაციას. ხელშეკრულების თანახმად, 400 კვ ხაზის ნაცვლად აშენდება უფრო მძლავრი, 500 კვ გადამცემი ხაზი. სომხეთი ხაზზე ძვირადღირებულ,

თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებს – ორ 350 მევაგავატის სიმძლავრის მუდმივი დენის ჩანართს დააყენებს, რომლის პირველი ნაწილის დამონტაჟება 2018 წლისთვის იგეგმება, ხოლო მეორე ნაწილის – 2022 წლისათვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველო-სომხეთს შორის ელექტროენერჯის გადადინების მოცულობასა და ენერგოუსაფრთხოების ხარისხს.

საქართველოს მხრიდან შესასრულებელი დარჩა 500 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის დაახლოებით 40 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები. სომხურ მხარეს კი სამუშაოთა გაცილებით უფრო დიდი სეგმენტი აქვს განსახორციელებელი, რისთვისაც

¹ <http://www.telasi.ge/ge/news/3032>

განზრახული აქვთ გერმანული ბანკის KfW-ს საკრედიტო რესურსებისა და საერთაშორისო კონსულტანტების მხარდაჭერის გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის მუდმივი დენის ჩანართები გახდება მეორე მსგავსი ტიპის მაღალტექნოლოგიური კვანძი კავკასიის მთლიან რეგიონში. პირველი მსგავსი მოწყობილობა უკვე ფუნქციონირებს ახალციხის ქვესადგურში.

„საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზის მშენებლობა მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ენერგოსისტემის გაძლიერებისთვის, ენერგოდამოუკიდებლობისა და მდგრადობისთვის. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩვენს კოლეგებთან სომხეთის რესპუბლიკიდან და იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ორივე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი წარმატებით დასრულდება“- განაცხადა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ სულხან ზუმბურიძემ.²

სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ დაუდასტურა არსებული რეიტინგი

სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა დაადასტურა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სახელმწიფოსთან გათანაბრებული რეიტინგი, რაც საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის მაქსიმალურად შესაძლებელი რეიტინგია. სნგკ-ს რეიტინგია „BB-“ სტაბილური პროგნოზით.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის მაისში კორპორაციამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსა 250 მლნ. აშშ დოლარის ევროობლიგაციები, რომელზეც წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.875%-ს. აღნიშნული თანხა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გამოიყენება გარდაბანში ახალი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობისათვის, რომლის დასრულება 2015 წლის ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი.

კორპორაციის განცხადებით, საქართველოს სუვერენულ რეიტინგთან გათანაბრებული რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია კორპორაციის დადებითი იმიჯისათვის, მისი პოზიტიური ისტორიის შესაქმნელად, რაც მომავალში არა მხოლოდ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას, არამედ სხვა ქართულ კომპანიებსაც გაუადვილებს საერთაშორისო ბირჟებზე ფინანსური რესურსების მოზიდვას.³

² <http://www.gse.com.ge/new/?p=1810>

³ <http://gogc.ge/ge/page/sareitingo-saagento-fitch-ratings-ma-ss-saqartvelos-navtobisa-da-gazis-korporacias-daudastura-arsebuli-reitingi>

აზერბაიჯანის ენერგოსისტემის მოცულობის გაზრდის მიზნით აუცილებელია 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია

„უახლოეს მომავალში აზერბაიჯანის ენერგოსისტემის მოცულობამ უნდა გადააჭარბოს 10 000 მგვტ-ს, რათა ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდოს ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია და გაუტოლდეს განვითარებული ქვეყნების დონეს,“ - აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ნატიგ ალიევმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომელსაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი თავმჯდომარეობდა. აღნიშნული სხდომა მიემდგნა ქვეყანაში 2014 წლის პირველი კვარტალში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებსა და შემდგომ გამოწვევებს.



„აუცილებელია ამ სფეროში 4 მილიარდი მანეთი ინვესტიციის მოზიდვა რათა მივაღწიოთ ზემოხსენებულ შედეგს,“ - განაცხადა მან.

„შედეგად, გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე მიაღწევს ევროპის განვითარებული ქვეყნების ინდექსს და გადააჭარბებს 3 600 კვტ.სთ-ს“ - აღნიშნა ალიევმა.

გასული 5 წლის განმავლობაში აზერბაიჯანში ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა 30 %-ით გაიზარდა. ამჟამად ინდექსი აღწევს 7 105 მგვტ-ს, რაც ყოველწლიურად დაახლოებით 24 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგიას გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა. ამის შედეგად კი, აზერბაიჯანს ყოველწლიურად 2.1 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგია ექსპორტზე გააქვს.

„ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველყოფა ევროპაში, რუსეთსა და ირანში“, - განაცხადა მან.

ალიევმა აღნიშნა „აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული ხიდის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები, რომელიც 2014 წელს 350 მგვტ ხოლო 2015 წელს - 700 მგვტ ელექტროენერგიის დასავლეთ ევროპაში გადადინების შესაძლებლობას იძლევა.⁴

⁴ <http://en.trend.az/capital/energy/2263236.html>

ირანი ჰესის ერთობლივი პროექტის დასაწყებად სომხეთის შეფასებას ელოდება

ირანმა განიხილა ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი პროექტი, რომელსაც სომხეთთან ერთად ახორციელებს მდინარე არასზე და გარკვეული ცვლილებები შეიტანა მასში.



როგორც „ირანის წყლისა და ენერჯო რესურსების განვითარების კომპანიის“ დირექტორმა მოჰამად რეზა რეზაზადემ ჟურნალისტებს განუცხადა, პროექტში შეტანილი ცვლილებები უმნიშვნელოა და ის დიდად არ ცვლის პროექტს.

ირანმა აცნობა სომხეთს ცვლილებების შესახებ და სომეხი

ექსპერტები უკვე სწავლობენ პროექტს.

რეზაზადეს განცხადებით, სომეხმა ექსპერტებმა, რომლებიც პროექტს საბჭოთა პერიოდში სწავლობდნენ, მოიწონეს ირანელი ექსპერტების მიერ შეტანილი ცვლილებები და თუ სომხეთის მთავრობა დაამტკიცებს მათ, პროექტის განხორციელება მალე დაიწყება.

2012 წელს ირანი და სომხეთი მდინარე არასზე, რომელიც ორი ქვეყნის საზღვარზე გადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხზე შეთანხმდნენ. ირანის მაშინდელი ენერჯეტიკის მინისტრი მაჯიდ ნამჯოუ და სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი დაესწრნენ პროექტის გახსნის ცერემონიალს 2012 წლის ნოემბერში, თუმცა მისი დაწყება დროებით გადაიდო.

დასრულების შემდეგ, ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 260 მგვტ. იქნება. ირანული მედიასაშუალებების ცნობით, ერთი 130 მგვტ.-იანი სადგური ირანის მხარეს, ხოლო მეორე - სომხეთის მხარეს აშენდება. სომხეთი და ირანი ერთდროულად აპირებენ მშენებლობის დაწყებას მეღრისა და ქარაჩილარის რეგიონებში.

პროექტის ღირებულება 1 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს და ორივე ქვეყანა ინვესტიციის სახით 500-500 მლნ. აშშ დოლარს გაიღებს.⁵

⁵ <http://en.trend.az/regions/iran/2266224.html>

თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, შესაძლებელია „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენმა თურქეთზე გაიაროს

როგორც თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა 16 აპრილს განაცხადა, თურქეთი განიხილავს „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის თურქეთზე გატარების საკითხს, თუ რუსეთი ამას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ამ გაზსადენის მეშვეობით რუსეთს ბუნებრივი აირის ევროპაში გატანა სურს.

თურქეთის ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, აღნიშნული საკითხი ერთ-ერთია საკითხთა მთელ რიგს შორის, დაწყებული ბუნებრივი აირის მიწოდების მოცულობის გაზრდისა და მასზე ფასების ცვლილებიდან, დამთავრებული - ბირთვული ენერჯეტიკით, რომლებსაც ანკარაში მალე განიხილავენ.



რუსეთიდან შავი ზღვის გავლით ევროპამდე, უკრაინის გვერდის ავლით, 2400 კილომეტრიანი „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის საკითხი ექვეყნებ დადგა რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიის გამო.

„ჩვენ მზად ვართ მილსადენის თურქეთის ტერიტორიაზე გატარებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მოთხოვნა განვიხილოთ“, - აღნიშნა ილდიზმა ჟურნალისტებთან „სამხრეთის ნაკადის“ პროექტზე საუბრისას.

„ასეთი მოთხოვნა შესაძლოა იყოს. თუ მოთხოვნა იქნება, ჩვენ მას განვიხილავთ“, - თქვა ილდიზმა 21 აპრილს ანკარაში „გაზპრომის“ დირექტორის მოადგილესთან ალექსანდრე მედვედევთან დაგეგმილ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

პროექტის მიხედვით, „სამხრეთის ნაკადით“ ბუნებრივი აირი ბულგარეთში გადაიტუმბება, საიდანაც ათწლეულის ბოლოსათვის გაზი ევროკავშირის ქვეყნებს მიეწოდება.

როგორც ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა აღნიშნა, განიხილებოდა მილსადენის თურქეთის ჩრდილო-დასავლეთით პროვინცია თრაკიის და არა ბულგარეთის ტერიტორიაზე გატარების საკითხი, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული რუსეთის უშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებთან დამაკავშირებელი მარშრუტი.

„ამგვარად, რუსეთს შესაძლებლობა აქვს პირდაპირ მილსადენით უზრუნველყოს თურქეთის რეგიონი მარმარა, რომელსაც ყველაზე მაღალი მოხმარება აქვს“, - თქვა ანალიტიკოსმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია.

საკითხში ჩახედულ წყაროებზე დაყრდნობით, შესაძლოა მალე დღის წესრიგში დადგეს მეორე გაზსადენის - „ცისფერი ნაკადის“ მშენებლობაც, რომელიც წარმოადგენს შავი ზღვის ქვეშე რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით არსებული გაზსადენის დამატებას.

„სამხრეთის ნაკადთან“ დაკავშირებული გაურკვევლობები

როგორც „სამხრეთის ნაკადში“ „გაზპრომის“ იტალიელმა პარტნიორმა Eni-იმ აღნიშნა, უკრაინასთან დაკავშირებული საკითხის ესკალაციის გამო პროექტის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება ევროკავშირმაც გადაადო.

ევროკავშირში გამართულმა უპრეცედენტო მოლაპარაკებებმა ცხადყო, რომ, აუცილებელია ევროპამ მიიღოს ზომები, რომლებიც შეამცირებს რუსულ გაზზე დამოკიდებულებას და დაეხმარება უკრაინის გაზით მომარაგებას.

მიუხედავად აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების კრიზისისა, კონსორციუმმა, რომელიც ახორციელებს „სამხრეთის ნაკადის“ პროექტს, განაცხადა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე ისინი დაიწყებენ მიწების პირველი მონაკვეთის ჩადებას.

გარდა „გაზპრომისა“ და Eni-ისა, პროექტის აქცინერები არიან ფრანგული - EDF და გერმანული - Wintershall-ი.

ჩინოვნიკებმა ენერგეტიკის სფეროდან განაცხადეს, რომ ყირიმის ანექსია რისკის ქვეშ აყენებს თურქეთს, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთს გაზის 12.5% მიეწოდება უკრაინის დასავლეთის მილსადენით. მიწოდების პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ნაბიჯები, შესაძლოა, მომავალ კვირას დღის წესრიგში დადგეს.

ევროპელი ლიდერებისადმი მიმართულ წერილში პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ისინი გააფრთხილა, რომ რუსეთმა შესაძლოა შეამციროს ბუნებრივი აირის უკრაინაში მიწოდება, თუ ეს უკანასკნელი არ გადაიხდის საფასურს, რამაც შესაძლოა ევროპაში მიწოდებაც შეამციროს.

„იმ საკითხს, თუ რა მოხდება დასავლეთის ხაზთან მიმართებაში წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში, რუსეთთან განვიხილავთ,“ - განაცხადა თურქმა მაღალჩინოსანმა.

„დღისწესრიგის კიდევ ერთი საკითხი იქნება „ცისფერი ნაკადის“ არსებული წლიური 16 მლრდ კუბური მეტრი სიმძლავრის დაახლოებით 3.5 მლრდ კუბური მეტრით გაზრდა, რისკენაც თურქეთი მიილტვის,“ - აღნიშნა ენერგეტიკის სფეროს მაღალჩინოსანმა.

ანკარა ასევე ცდილობს შეამციროს რუსეთიდან მიღებული გაზის საფასური.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი არა მხოლოდ ბუნებრივი აირის ფასების შემცირებასა და იმპორტის მოცულობის ზრდას ცდილობს, არამედ ენერგეტიკის სხვა წყაროებსაც ავითარებს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ქვეყანაში მესამე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხს აქტიურად განიხილავენ.⁶

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

რუსეთი უცხოელ ინვესტორებს ემუქრება

რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის მინისტრის განცხადებით, უცხოური კომპანიები „ნამცხვრის ნაჭერს დაკარგავენ“, თუ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციებით ინვესტორებთან დადებული შეთანხმებები დაირღვევა.

Reuters-ის ცნობით, სერგეი დონსკოიმ აღნიშნა, რომ თუ დადებული შეთანხმებების პირობები არ შესრულდება, უცხოელი ინვესტორები რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ვეღარ შეძლებენ. „რუსეთი ნახშირწყალბადების მოპოვების სფეროში ერთ-



ერთი ყველაზე პერსპექტიული ქვეყანაა. შეთანხმებების დარღვევის შემთხვევაში, კოლეგებო, თქვენ დაკარგავთ მომავალი ნამცხვრის არასახუმარო ნაჭერს“ - განაცხადა რუსმა მინისტრმა. დონსკოიმ ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე პროექტებში მონაწილეობის შეჩერების

თაობაზე უცხოელ ინვესტორებს ჯერჯერობით არ განუცხადებიათ.

სააგენტო Reuters-ი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ რუსული ნავთობისა და გაზის სფერო დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიებზე, განსაკუთრებით მწვანე ენერჯის საბადოების დამუშავებისას.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნების მიერ უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით პუტინის გარემოცვის წინააღმდეგ მიღებული სანქციები რუსეთის უმსხვილესი სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანიების ხელმძღვანელებსაც შეეხო. „როსნეფტის“ და „გაზპრომის“ ხელმძღვანელების იგორ სეჩინისა და ალექსეი

⁶ <http://www.hurriyetdailynews.com/passage-of-south-stream-pipeline-via-turkey-possible-minister.aspx?pageID=238&nID=65121&NewsCatID=348>

მილერის ვროპული აქტივები გაიყინა. გარდა ამისა, მათ აკრძალათ ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა. ანალოგიური სანქციები დააწესა აშშ-მაც.

ამავე დროს, ამერიკის პრეზიდენტი რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების ამოქმედებით იმუქრება. ანალოგიური გაფრთხილება გაჟღერდა აშშ-ის სახელმწიფო მდვინის მხრიდანაც.

ამავე დროს, მოსალოდნელი სანქციების შიშით რუსეთიდან ინვესტორები გარბიან. მხოლოდ მარტის თვეში ყირიმის ოკუპაცია რუსულ ბაზარს 179 მლრდ აშშ დოლარი დაუჯდა. აქედან კაპიტალის გადინებამ 33.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რუსული კომპანიების კაპიტალიზაცია 145.5 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა.⁷

ყაზახეთი გაზის ინდუსტრიას ავითარებს

ენერგეტიკული რესურსებით მდიდარმა კასპის ზღვის სანაპირო ქვეყანა ყაზახეთმა გაზის ინდუსტრიის განვითარება გადაწყვიტა, რომლის კონცეფციაც 2014 წლის ბოლოს შეიქმნება.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, მსოფლიო ენერგო ბალანსში გაზის როლი 2030-2040 წლისათვის კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთანავე, ყაზახეთისთვის გაზის სექტორის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყანა, რომელიც 2014 წლის განმავლობაში 41 მლრდ.კუბ.მ



გაზის წარმოებას გეგმავს, აღნიშნულ სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვითაც დაინტერესებულია. ამ პრიორიტეტების რეალიზების მიზნით, უცხოელი ინვესტორებისთვის ის პრივილეგიები და უპირატესობები განიხილება, რომელიც გეოლოგიური კვლევების დაწყებას ხელს შეუწყობს.

2013 წელს ყაზახეთის ნავთობისა და გაზის სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციების ოდენობამ დაახლოებით 10 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტორების პირველი სამეული აშშ-ის, ჩინეთისა და ევროკავშირის სახით არის წარმოდგენილი.

ყაშადანის საბადოზე ნავთობის მოპოვების განახლება შესაძლოა გაურკვეველი ვადით გადაიდოს. 2013 წელს ყაზახეთმა 81.8 მლნ ტონა ნავთობი აწარმოა და 2014 წლისთვის 83 მლნ. ტონის გამოშვებას გეგმავს. ქვეყნის წარმოება ძირითადად 5

⁷ <http://news.ge/ge/news/story/86950-ruseti-utskhoel-investorebs-emuqreba>

სახმელეთო - ტენგიზის, ყარაჩაგანაკის, აკტობეს, მანგისტაუს, უზენის და კასპიის ზღვის 2 ოფშორულ - ყაშაგანისა და კურმანგაზის საბადოებზე მოდის.

ყაზახი გეოლოგები ყაშაგანის ნავთობის საბადოს მარაგებს 4.8 მლრდ. ტონად აფასებენ. „მთლიანი ნავთობის მარაგები კი დაახლოებით 38 მლრდ. ბარელს (6 მლრდ. ტ.) შეადგენს, საიდანაც მოპოვებადი დაახლოებით 10 მლრდ. ბარელია“ - აცხადებენ პროექტის ოპერატორები.

ბუნებრივი აირის მარაგები 1 ტრილიონ კუბ.მ-ად არის შეფასებული.

საბადოზე ნავთობის წარმოება 2013 წლის 11 სექტემბერს დაიწყო, თუმცა დაახლოებით 2 კვირაში სამუშაოები შეჩერდა, რადგან გაზსადენის გარკვეულ მონაკვეთზე გაზმა გამოჟონა. გაზსადენების სახმელეთო და წყალქვეშა მონაკვეთებზე გარკვეული დაზიანებები შეიძლება არსებობდეს ბზარების სახით, საიდანაც გაჟონვა ხდება. შესაბამისად პრობლემის მოგვარებამდე წარმოების პროცედურები შეჩერდება.

თუ რუსეთზე სანქციების დაწესება კვლავ გაგრძელდება, ყაზახეთს ნავთობის ექსპორტის გადამისამართება მოუწევს. 2013 წელს ქვეყნის ნავთობის ექსპორტის 60%-ის ტრანსპორტირება რუსეთის ტერიტორიის გავლით მოხდა. რუსეთის სანქციების შედეგად კი, აუცილებელი გახდება ახალი მარშრუტების მოძებნა, რაც ყაზახეთის ექსპორტს შეამცირებს. შესაძლო ტრანსპორტირების ვარიანტებად შავი ზღვის ბათუმის პორტი და კასპიის ზღვა განიხილება.⁸

Sinopec-ი Lukoil-ის ყაზახური აქტივების 50%-ს ყიდულობს

რუსეთის სიდიდით მეორე ნავთობმწარმოებელმა Lukoil-მა ჩინურ Sinopec-თან



Caspian Investment Resources-ის (CIR) 50%-იანი წილის გაყიდვაზე შეთანხმებას მიაღწია, რომლის ღირებულება დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული გარიგების მიხედვით, ჩინური კომპანია ყაზახურ აქტივებზე კონტროლის უფლებას მიიღებს. CIR-ი წილებს ყაზახეთის 4 პროექტში ფლობს: ჩრდილოეთ ბუზაჩის, ყარაყუდუკის, არმანისა და KazakhOil-Aktobe-ს საბადოებში. გასულ წელს Lukoil-ის

წარმოების წილმა ამ აქტივებიდან ჯამში 10.2 მლნ. ბარელი ნავთობის ექვივალენტი შეადგინა.

⁸ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=c4705805-6cb1-4c68-82ac-ae693ae117b>

სახელმწიფო კომპანია Sinopec-ი და მისი მფლობელი China Petrochemical Corp.-ი ერთობლივი საწარმოს ფარგლებში ამჟამად CIR-ის 50%-ს ფლობს, ხოლო Lukoil-თან გარიგება მათ წილს 100%-მდე გაზრდის.

„ტრანზაქცია, რომელიც 2014 წლის ბოლოს დასრულდება, Lukoil-ის საზღვარგარეთული ჰიდროკარბონების აქტივების პორტფოლიოს ოპტიმიზაციისათვისაა გამიზნული,“ - განაცხადა რუსული კომპანიის წარმომადგენელმა. მისივე განცხადებით, Lukoil-ი ყაზახეთის ნავთობისა და გაზის წარმოების ისეთ პროექტებში, როგორცაა კუმკოლის, ყარაჩაგანაკისა და ტენგიზის პროექტები, მონაწილეობას კვლავ განაგრძობს. ამასთანავე, კომპანია შეინარჩუნებს წილს კასპიის მილსადენის კონსორციუმშიც (CPC).

„ჩვენ ყაზახეთში კონკრეტულ აქტივობებს ვახორციელებთ და ამ ქვეყანაში ინვესტირებით დაინტერესებულნი ვართ. კომპანიას გეოლოგიურ კვლევით პროექტებში ინვესტირება აქვს განზრახული, მათ შორის ყაზახეთის კასპიის ზღვის რეგიონშიც,“ - განაცხადა Lukoil-ის პრეზიდენტმა ვაგიტ ალეკპეროვმა.

„Sinopec-თან გარიგება Lukoil-ს ყაზახეთში უფრო საიმედო პროექტებში ინვესტირების საშუალებას მისცემს და კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების სხვადასხვა ალტერნატივებთან წვდომას უზრუნველყოფს, რომელიც ამჟამად არსებული ცვალებადი სიტუაციის გამო შეზღუდულია“ - განაცხადა სარეიტინგო სააგენტო Moody-ს უფროსმა ანალიტიკოსმა ჯულია პრიბიტკოვამ. მან იქვე დაამატა, რომ Lukoil-ი ამ წილის გაყიდვით მიღებული თანხით 2014 წლის საინვესტიციო პროგრამის 7%-ის დაფარვას შეძლებს.


2007 წელს Lukoil-მა CIR-ის 50% ინდოეთის ფოლადის მაგნატ ლაკშმი მიტალს 980 მლნ. აშშ. დოლარად მიყიდა. მიტალმა კი 2010 წელს თავისი წილი ჩინეთის კომპანიაზე გაყიდა.

გასულ წელს პეკინურმა Sinopec-მა მის დამფუძნებელ China Petrochemical Corp.-თან ერთად 3 მლრდ. აშშ დოლარის კაპიტალის მქონე ერთობლივი საწარმო შექმნა, რათა ნავთობისა და გაზის აქტივები გაეზარდა როგორც ყაზახეთში, ასევე რუსეთსა და კოლუმბიაში.⁹

⁹NewsBase FSU, Oil & Gas Monitor, Issue 779, 23 April 2014, Sinopec buys 50% stake in LUKoil's Kazakh assets

NordBalt-ისა და LitPol-ის ხაზები ლიტვაში ფასებს შეამცირებს

ლიტვის მთავრობამ შვედეთთან და პოლონეთთან დამაკავშირებელი NordBalt-ისა და LitPol-ის ხაზების ექსპლუატაციის შედეგად ყოველწლიურად მისაღები სარგებელი 81.6 მლნ აშშ დოლარად შეაფასა, რომლის შედეგადაც მომხმარებლები 2016 წლიდან ენერჯიაზე ფასების შემცირებას იგრძნობენ.



„მას შემდეგ, რაც 2015 წლიდან შვედეთთან დამაკავშირებელი ხაზი გაეშვება, ლიტვას ყოველ მგვტ-ზე 2 ევროთი ნაკლების გადახდა მოუწევს და ფასის ასეთი შემცირებით ქვეყანა წლიურად 40 მლნ. აშშ. დოლარის სარგებელს მიიღებს“ - განაცხადა ლიტვის ენერჯეტიკის მინისტრის მრჩეველმა ზიგიმანტას ვაიჩიუნასმა.

რაც შეეხება LitPol-ის გადამცემ ხაზს, მისი ოპერირების შედეგად ელ.ენერჯიაზე ფასი 4 ევრომდე შემცირდება, რაც ასევე 40 მლნ. აშშ. დოლარის ეკვივალენტური იქნება ყოველწლიურად. აქამდე ქვეყნის სარგებელი 73.5 მლნ აშშ დოლარად იყო შეფასებული. ლიტვას შეუძლია სარგებელი მიიღოს სკანდინავიასთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზითაც, თუმცა ლატვისა და ესტონეთის საზღვრებზე არსებული ხაზები ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

მაგალითისთვის, ესტონეთში ენერჯიის საბითუმო ფასი მარტის თვეში 14.2 აშშ დოლარი იყო, იაფი ვიდრე ლიტვაში, რადგან ესტონეთს სკანდინავიის იაფ ენერჯიაზე

წვდომა ქონდა. თუმცა პროგნოზების მიხედვით, NordBalt-ის ოპერირების შედეგად სიტუაცია შეიცვლება.

„ლიტვისა და ესტონეთის საზღვრებზე გადამცემი ხაზების შეზღუდვის გამო, ლიტვისთვის ელ.ენერჯის იმპორტი შესაძლებელია ბელარუსიდან განხორციელდეს, თუმცა ეს უკანასკნელი ლიტვისთვის საჭირო ენერჯის მიწოდებაზე უარს ამბობს. ამიტომ ლიტვა იძულებულია საკუთარი ძვირი გენერაცია გამოიყენოს,“ - განაცხადა ლიტვის დამოუკიდებელმა ელ.ენერჯის მიმწოდებელმა კომპანიამ.

775 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 400 კმ სიგრძისა და 700 მგვტ. სიმძლავრის NordBalt-ის გადამცემი ხაზის მშენებლობა სავარაუდოდ 2015 წლის დეკემბერში დასრულდება.¹⁰

საფრანგეთის ქარის ენერჯია - ენერჯის ახალ წყაროზე გადასვლის გამოსავალი

საფრანგეთი შესაძლოა მსოფლიოში ბირთვულ ენერჯიაზე ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა გახდეს. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი 2012 წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა, მან დაპირება გააკეთა, რომ 2025 წლისათვის ქვეყნის დამოკიდებულება ბირთვულ ენერჯიაზე 75%-დან 50%-მდე შემცირდებოდა. დღეისთვის საფრანგეთის მიზანს 2020 წლისათვის ქარის ენერჯის გამომუშავებით 19 გვტ-ის მიღწევა წარმოადგენს, რომელიც დღეს 8.2 გვტ-ს შეადგენს. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყანაში ქარის ენერჯის პროცენტულ წილს ქვეყნის გამომუშავებაში, რომელიც დღეისათვის მხოლოდ 3%-ია.

საფრანგეთის მოსახლეობის 64% ფიქრობს, რომ ენერჯის ახალ წყაროზე გადასვლის კონტექსტში ქარის ენერჯია ძირითად გამოსავალს წარმოადგენს. CSA survey-ის კვლევის მიხედვით, რესპოდენტების 80%-ის აზრით აუცილებელია ინვესტირება მოხდეს ქარის სადგურებში და არ უნდა დაელოდონ იმ დროს, როცა ტრადიციული ენერჯო სადგურები თავიანთ სასიცოცხლო პერიოდს ამოწურავენ. რესპოდენტების 65%-მა განაცხადა, რომ თუ მათ პიროვნულად ექნებოდათ ენერჯის რომელიმე წყაროში ინვესტირების საშუალება, ისინი აუცილებლად ქარის ენერჯიას განავითარებდნენ, 15%-მა ბირთვულ ენერჯიას, 7%-მა გაზს და 1%-მა ქვანახშირს მიანიჭა უპირატესობა. ამასთანავე გამოკითხულთა 69% აირჩევს ქარის სადგურებს, თუ ისინი მათ რეგიონში აშენდება.

შედეგებმა აჩვენა, რომ ფრანგები კარგად აცნობიერებენ ენერჯის ახალ წყაროზე გადასვლის საჭიროებას, რომ ისინი თავდაჯერებულნი არიან ქარის სადგურებში

¹⁰ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 710, 23 April 2014, NordBalt, LitPol links to cut prices for Lithuania

ინვესტირებაზე და იციან, რომ ამ ყველაფრის განხორციელება სწორედ ახლა უნდა დაიწყო. მომდევნო წელი მნიშვნელოვანია საფრანგეთის ენერგო-გადაწყვეტილების მიმდებარეობის, რადგანაც ამ პერიოდში პარიზში ტარდება ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება: გაეროს კლიმატის ცვლილების სამიტი და 2 კვირით ადრე EWEA 2015. EWEA-ს ღონისძიება იქნება პლატფორმა ქარის ენერჯის ინდუსტრიისთვის, როდესაც ქვეყანამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გარემოსთან მეგობრული ტექნოლოგიებზე.

EWEA-ს მიხედვით ქარის ენერჯია უამრავ სარგებელს ქმნის საზოგადოებისთვის, დაწყებული სტაბილური სამუშაო ადგილებით, დამთავრებული ეკონომიკური



EWEA

THE EUROPEAN WIND ENERGY ASSOCIATION

აღმავლობით, რომელიც ზრდის ენერგო უსაფრთხოებას და „ებრძვის“ კლიმატის ცვლილებებს. ადგილობრივ დონეზე ქარის სადგურებისათვის საჭირო მიწების გაქირავება უზრუნველყოფს შემოსავლების მიღებას და ქარის ენერგო ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი შესაძლოა გამოიყენონ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. ეს ყველაფერი კი მოსახლეობის აზრით ქარის ენერჯიას დიდ მნიშვნელობას სძენს.¹¹

პოლონური Tauron-ი 910 მგვტ. სიმძლავრის აგრეგატს ააშენებს

პოლონურმა ენერგო გიგანტმა Tauron-მა კონსორციუმთან, რომელიც ინჟინერულ კომპანია Rafako-სა და სამშენებლო კომპანია Mostostal Warszawa-სგან შედგება, „ჟავორზნოს“ ელექტროსადგურში ახალი 910 მგვტ. სიმძლავრის აგრეგატის მშენებლობაზე კონტრაქტი გააფორმა. აგრეგატის გამომუშავება ქვეყანაში ამჟამად არსებული ენერგო მოთხოვნის 5%-ს დააკმაყოფილებს.

ქვეყნის პრემიერის დონალდ ტუსკის განცხადებით, აღნიშნული ინვესტიცია 2.5 მლნ ოჯახს ელექტროენერგიით მოამარაგებს, რისთვისაც ყოველწლიურად 2.7 მლნ. ტ. ქვანახშირს გამოიყენებს და 3000-მდე მეშახტისთვის ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. აგრეგატის მშენებლობის პროცესში კი 2500 ადამიანი დასაქმდება. „ჩვენ გვსურს, რომ პოლონეთის ენერგო ინდუსტრია ადგილობრივ რესურსებზე იყოს დაფუძნებული,

¹¹ <http://www.evwind.es/2014/04/25/france-wind-energy-solution-in-energy-transition/45046>

რომელსაც ძირითადად ქვანახშირი წარმოადგენს,“ - აღნიშნა ტუსკმა. მისივე განცხადებით, მომავალი 6 წლის მანძილზე ქვეყნის ენერგო სიმძლავრეების შექმნაში განხორციელებული ინვესტიციები 10 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს, ხოლო მთლიან ენერგო სექტორში - 20 მლრდ აშშ დოლარს.

აგრეგატის მშენებლობა 59 თვეს გასტანს და Tauron-ის „ჟავორზნოს“ ენერგო სადგურში მოძველებულ დანადგარებს ჩაანაცვლებს. ამჟამად Tauron-ი 9 ქვანახშირის აგრეგატის ოპერირებას ახორციელებს, რომელთა წლიური წარმოება 1 535 მგვტ-ია. კომპანია, რომელიც 30%-ით სახელმწიფო მფლობელობაშია, ქვეყნის ტერიტორიის 18%-ს ამარაგებს ენერგიით.¹²

მსოფლიო

რუსეთი ჩინეთთან კავშირებს აძლიერებს

EUobserver-ის ცნობით, რუსეთი ჩინეთთან ერთად ორი მსხვილი პროექტის - გაზის მილსადენისა და ყირიმის პორტის განხორციელებას გეგმავს. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, როდესაც ამერიკა და ევროკავშირი რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას განიხილავენ.

ევროკავშირში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩიჟოვმა EUobserver-ს განუცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ”ციმბირის ძალის” მილსადენზე და ყირიმში ჩინეთის მიერ 25 მეტრის სიღრმის პორტის აშენებაზე. ჩიჟოვმა მილსადენის პროექტს „მეგა პროექტი“ უწოდა, რისი საშუალებითაც რუსეთის შორეულ აღმოსავლეთით მდებარე გაზის საბადოებიდან წლიურად 60 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი, აქედან კი 38 მილიარდს ჩინეთი მიიღებს.



მისი თქმით, რუსული „გაზპრომი“ და ჩინური CNPC უკვე მუშაობენ აღნიშნულ შეთანხმებაზე და გაზის საბადოების ათვისება 2019 წელს დაიწყება. „გადასაწყვეტია ერთი უმთავრესი საკითხი - ფასი. „გაზპრომი“ და CNPC ამ საკითხზე აწარმოებენ

¹² NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 710, 23 April 2014, Polish energy giant signs 910-MW power unit deal


მოლაპარაკებებს და პოზიციები თანდათან ერთმანეთს უახლოვდება,“ - აღნიშნა ჩიჟოვმა.¹³

მექსიკა ენერგო სექტორის გახსნის შემდეგ დაკვირვების ობიექტია

ლათინურ ამერიკას ნავთობის უდიდესი მარაგები აქვს. მხოლოდ ვენესუელას 297 მილიარდ ბარელზე მეტი ნავთობის რეზერვი გააჩნია, რომლითაც ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. მიუხედავად მდიდარი რესურსებისა, სამხრეთ ამერიკაში ინვესტირება ძალზედ სარისკოა. მიუხედავად სექტორში მოღვაწე კომპანიების წარმომავლობისა რამდენიმე ლათინურმა სახელმწიფომ ნავთობ ინდუსტრიის ნაციონალიზაცია მოახდინა.

მაგალითად, ბოლივიაში პრეზიდენტ ევო მორალესის მოღვაწეობისას ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს ენერგო სექტორის ნაციონალიზაცია, ასევე არგენტინაში 2012 წელს ქვეყნის უდიდესი კომპანია Repsol-YPF, რომლის უდიდესი ნაწილის მფლობელი ესპანური კომპანია Repsol-ი იყო, სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა.

2013 წლის დეკემბერში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფო კონტროლის შემდეგ, მექსიკის პრეზიდენტმა



მოაწერა ხელი კანონს, რომლის მიხედვითაც უცხოურ კომპანიებს აქვთ უფლება მოიპოვონ ნავთობი მექსიკაში სახელმწიფო კომპანია Pemex-თან თანამშრომლობით. სახელმწიფოს ნავთობის ინდუსტრია ნაციონალიზირებული იყო 1938 წლიდან. მექსიკის მთავრობა ოპოზიციური პარტიების კრიტიკის ქვეშ მოექცა, რომლებმაც მთავრობას ქვეყნის რესურსებით გამდიდრება დასდეს ბრალად.

ამ კანონის მიღების შემდეგ დიდი ინტერესი გაჩნდა მექსიკის მიმართ და უკვე რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ გამოთქვა მექსიკაში ოპერირების სურვილი. მექსიკის მთავრობაში აცხადებენ, რომ ენერგო სექტორს აქვს პოტენციალი დაასაქმოს უამრავი ადამიანი, შეამციროს ენერგო ხარჯები მოსახლებისთვის და ბიზნესებისთვის, მილიონობით შემოსავალი მოუტანოს ქვეყანას ბიუჯეტში. მექსიკელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ყოველივე ამის მისაღწევად კი უცხოური ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიები საჭირო, რომლებიც მექსიკას ამჟამად არ გააჩნია.¹⁴

¹³ <http://news.ge/ge/news/story/86151-ruseti-chinettan-kavshirebs-adzlierebs>

¹⁴ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=a2cff026-e0eb-4e1e-8d7e-186cf0753d79>

BP და Shell-ი დაუცველი რჩება, რადგან აშშ რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს ამზადებს

ბრიტანეთის წამყვანი ენერჯო კომპანიები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ,



რადგან დიდი შვიდიანის ქვეყნები რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი ეტაპის ამოქმედებას გეგმავენ, რის გამოც BP და Shell იძულებულნი იქნებიან გაყინონ მნიშვნელოვანი კომერციული გარიგებები რუსეთთან.

აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა შეთანხმდნენ, რომ უკრაინაში

შექმნილი ვითარების გამო გააძლიერონ მიზანმიმართული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. სანქციების გამკაცრება გაგრძელდება მანამ, სანამ კრემლი უარს არ იტყვის უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციაზე.

დიდი შვიდიანი ამჟამად მუშაობს ირანული სტილის მესამე ფაზის სანქციებზე, რომლებიც მიმართულია მთლიანად რუსეთის საბანკო სისტემის, მოპოვებითი ინდუსტრიის - ნავთობისა და გაზის სექტორის წინააღმდეგ. ამ ტიპის მკვეთრი სანქციების დაწესება მას შემდეგ იგეგმება, თუ რუსეთი გააგრძელებს უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციას და ამ საბაბით მოახდენს სამხედრო აგრესიის გამართლებას. დიპლომატების განცხადებების თანახმად, ობამას ადმინისტრაციას აქვს საკმარისი საშუალებები, რომ შეზღუდული სანქციების მეორე ეტაპის პირობებშიც მნიშვნელოვნად დააზარალოს რუსეთის საფონდო ბაზარი და ენერჯო სექტორი.

ვაშინგტონში აცხადებენ, რომ რუსი მაღალჩინოსნების შავ სიაში შეიძლება Rosneft-ის დირექტორი იგორ სერინიც შევიდეს, რაც დამატებით შეზღუდვებს დაუწესებს მსოფლიოს უდიდეს ნავთობით მოვაჭრე კომპანიას. სერინი დასავლეთში ცნობილია, როგორც KGB-ს ყოფილი აგენტი აფრიკაში, პუტინის მარჯვენა ხელი და რუსეთის ენერჯო სექტორისა და პოლიტიკის არქიტექტორი.

სანქციები Rosneft-ის წინააღმდეგ ავტომატურად იმოქმედებს BP-ზე, რომელიც 2012 წელს TNK-BP-ისა და Rosneft-ის გაერთიანებით Rosneft-ის 19.75% აქციათა მფლობელი გახდა. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, შეძლებს თუ არა BP აშშ-ში

საქმიანობას, თუ ის სეჩინის Rosneft-ის მეწილე იქნება, ასევე Exxon Mobile-ს მოუწევს გადახედოს Rosneft-თან დადებულ შეთანხმებას არქტიკაში ერთობლივი სამძებრო სამუშაოების შესახებ.

აშშ-ს ეროვნული ხაზინა სანქციებს გეგმავს აგრეთვე Gazprombank-ის წინააღმდეგ რომელიც რუსული გაზის გიგანტის Gazprom-ის ფინანსური საყრდენია. აღნიშნული შეზღუდვა გაართულებს Shell-ის და Gazprom-ის ერთობლივ სამუშაოებს სახალისის კუნძულზე არქტიკაში. BP და Shell აცხადებენ, რომ ისინი რუსეთში განხორციელებული გრძელვადიანი ინვესტიციების ერთგულნი რჩებიან, მაგრამ ყურადღებით აკვირდებიან სიტუაციას.

სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ბრიტანულმა Centrica-მაც, რომელიც გაზის მიწოდების სამწლიან კონტრაქტს აფორმებს Gazprom-თან, კონტრაქტით გათვალისწინებული მოცულობა კი დაახლოებით ბრიტანეთის მიწოდების 7%-ია. Gazprom-თან თანამშრომლობენ სხვა ბრიტანული კომპანიებიც, რომლებმაც უნდა შეიმუშავონ ფორს-მააჟორული გეგმა რუსული სანქციების ამოქმედების შემთხვევაში.

რუსეთის სამთავრობო შემოსავლების 52%-ს, ზოგიერთის ინფორმაციით 70%-ს, ენერგო სექტორიდან იღებს, საიდანაც ლომის წილი ნავთობზე მოდის. რუსეთი ბუნებრივ აირს უფორ პოლიტიკურ იარაღად იყენებს. სახელმწიფოს უდიდესი დამფინანსებელი Rosneft-ია, რომელმაც გასულ წელს 75 მილიარდი აშშ დოლარი გადასახადების სახით გადაიხადა, რაც მთლიანად მთავრობის შემოსავლების მესამედი იყო.

აშშ-ს მიზნად აქვს დასახული რუსეთის ნავთობ ინდუსტრიის დაზარალება. აშშ-ს სტრატეგიული რეზერვების გახსნაც სიმბოლური ჟესტია რუსეთის წინააღმდეგ. მოცემულ რეზერვს ერთი თვის განმავლობაში შეუძლია დააკმაყოფილოს მსოფლიო მოთხოვნა. აშშ-ს შეტევა ძირითადად განხორციელდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის დახურვით რუსული კომპანიებისთვის, რომლებიც უდიდეს კაპიტალს ფლობენ უცხოურ ვალუტასა და აქციებში.

Rosneft-ი ამჟამად დღეში 2.5 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს, რაც დაახლოებით სპარსეთის ყურის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებლის მოპოვების ტოლფასია. დროთა განმავლობაში, რუსეთს შეუძლია გადაერთოს ჩინეთის მზარდ ბაზარზე, მაგრამ ექსპერტები აქაც კითხვის ნიშნებს სვამენ. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ჩინეთს ფრთხილი პოლიტიკა აქვს რუსეთთან და არც გამორიცხავენ, რომ გადამწყვეტ მომენტში მან აშშ-ს პოლიტიკას დაუჭიროს მხარი.¹⁵

¹⁵ <http://energy.einnews.com/article/202093621/w03kTLRAwU1pbWe?n=2&code=GC3nUIjkIECsLFtE>